

რედაქცია: სოფოლაკზე, სერ-გიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის ხან-ში. № 8.

ქანტორა რედაქციისა: სერ-გიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სა-ხლგაში, № 8.

ხელის-მწერა მიიღება კანტო-რაში. ბარევე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографш. Въ редакшю газ. „Про аба“.

ბაჭყალი უსანი: მთელის წლი-სა—8 მან., ნახევარ წლითა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

უოველ დღე ორშაბათს ბარდა

ფრთხილი

ცალკე ხომერი ღირს უაშუაო

ბანსადება: მიიღება ქაბულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

უსანი ბანსადებისა: დიდი ასო-ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით ტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცი-კერითი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაას-წიროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბერლინი, 25 ივნისს. თ. ბისმარკისა და ზოგი სხვა სახელმწიფოების წარმომადგენელთა გავლენითა და მეცადინეობით, ინგლისის დელეგატებმა, ამ უკანასკნელი დღის განმავლობაში, შესცვალეს თავიანთი განზრახვა და მოქმედება; ძონგრესის წევრთა მომეტებულ ნაწილმა გადაწყვიტა, ყოველი ღონისძიება იხმაროს, რომ ძონგრესის შრომამ უქმად არ ჩაიაროს და მეროპაში სრული მშვიდობიანობა იქნეს დამყარებული.

ამ ნაირად, ძონგრესმა მიიღო ის გარდაწყვეტილება, რომ ბოჭორის და ღარდნელის წყალი ყველა უცხო ქვეყნის სამხედრო ხომალდებისათვის დაკეტილი იყოს და ბათუმი თავისუფალ ნავსადგურად (პორტო-ფრანკოდ) შეიქნეს და დაეთმოს რუსეთს (?).

ამ ჟამად აჭირებს საქმეს მხოლოდ მარკიზ სალსბიურის სხვა-და-სხვა შემავიწროებელი პირობა, რომელსაც ის, ლონდონიდან მიღებულის ბრძანებით, თხოულობს რუსეთისაგან ბათუმის შესახებ; ის თხოულობს, რომ რუსეთის ხელმწიფესა და ხალხს სრული ბატონობა და უფლება არ მიენიჭოს ბათუმში. მაგრამ, რადგან ყველას ჰსურს მშვიდობიანად საქმის გათავება, იმედია, რომ ყველა ამ დაბრკოლებებს თავიდან აიცილიბენ.

ბერლინი, 25 ივნისს. ხმა არის, ყველა სახელმწიფოები თანახმანი არიანო, რომ ბათუმი თავისუფალ ნავსადგურად შეიქნესო.

ლონდონი, 25 ივნისს. ლონდონის კონსერვატორულ საზოგადოებათა გადაწყვიტეს, რომ დიდის ამბით მიიღონ ლორდი ბიკონსფილდი, როდესაც ის ბერლინიდან დაბრუნდება.

სტამბოლი, 24 თბათვეს. ოსმალის ჯარები დაუყოვნებლივ გამოვლენ მარნიდამა და შუმლიდამ. ძიპრის კუნძულის მახლობლად, ზღვაში, ინგლისის ჯაფშნიანი ხომალდები დაიარებინ.

ბერლინი, 26 ივნისს. ძონგრესმა გაათავა ყველა უმთავრესი საქმეები.

ბათუმი რუსეთის საკუთრებათ დარჩება; მხოლოდ ის შეიქნება თავისუფალ ნავსადგურად ყველა სახელმწიფოებისათვის.

ამბოზენ. რომ ამ ხუთშაბათს ანუ შაბათს ძონგრესის სულ გაათავებს თავის შრომასაო და ყველა წარმომადგენლები მოაწერენ ხელს პირობაზედ და უკანასკნელს პროტოკოლზედაო.

ბერლინი, 26 ივნისს. ბათუმის თაობაზედ მოლაპარაკების დროს ძონგრესსმა გადაწყვიტა, მიიღოს მხედველობაში რუსეთის ინტერესები და მნიშვნელობა, როგორც ერთი უმთავრესთაგანი სახელმწიფოისა. ღღეს ძონგრესის სხდომა საღამოს მეშვიდე საათზე გათავდა.

ლონდონი, 26 ივნისს. ლორდ ბიკონსფილდმა გამოაცხადა ბერლინის ძონგრესზედ, რომ ინგლისის ძოროდვეა ოსმალეთის ხონტქართან შეკრულია პირობითაო და ამ პირობის ძალითა ინგლისი ვალდებულია დაეხმაროს ოსმალეთს, რომ იმას არავინ არაფერი წაართვას აზიის სამფლობელოში. მკირე აზიაში ოსმალეთის სიმთელის დაცვისათვის სულთანი ძიპრის კუნძულს უთმობს ინგლისსა.

საქართველო

დღიური

****** თუმცა ამ ზამთარში ძალიან შეშინებული ვიყავით, ათას გვარ სენსა და ავთამყოფობას მოველოდით; მაგრამ, ღვითთ, ეს ზაფხული ჯერ-ჯერობით მშვიდობიანად მიდის, არავითარი ავთამყოფობა არ არის ამ ჟამად ძალაქში. მს ბედნიერი გარემოება ერთის მხრით მისის წვიმებს მიეწერება, რომელმანც გაწმინდა, გაასუფთავა ძალაქი და ჰაერი, და მეორეს მხრით სანიტარულ კომიტეტებს, რომელთაც, ბევრათ თუ არა, ცოტათი მაინც დაეხმარენ ჩვენი ძალაქის გაჯანმთელებას.

****** უ. ქასუმოვის პარომა—მუხრანიანთ ხიდისას—ამ თვის 15-დამ ხელახლად დაიწყო მუშაობა. უ. ქასუმოვი გვარწმუნებს, ეს პარომა ახლა ისე მაგრად და კარგად გაეკეთებინეო, რომ რაც უნდა წყალდიდობა იყოს, იმას შიში არ აქვს, ვერაფერს დააკლებსო, წყალი ვერ მოიტაცებსო.

****** ბორიდან იწერებინ „თფილისის მიაბგეში“, რომ საბრალო ქალი პოლკოვნიკის შილდოვსკისა ამ თვის 19-ს დაუსაფლავებიათ. მამა ძალიან შეწუხებული იყო, ცხარე ცრემლით ტიროდაო; მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვიო ქალის დედაზედაო, —ამბობს კორკესპონდენტი.

ამავე კორკესპონდენტს მოჰყავს შემდეგი წიგნი ქალისა, რომელიც თავის დაღრჩობის წინეთ დაუტოვებია ბორის აფთიაქარის შეჭმის სახელობაზედ:

„ძარლ ივანი! მზადლობთ, რომ თქვენსას თავი შემაფარებინეთ. მეტი მოთმენა აღარ შემიძლია; ჩემი ცხოვრება მოწამლულია... ღღეს მე მტკვარში ვვარდები. მომიტევეთ და ცუდათ ნუ მომიგონებთ. 25 ივლისს, ჩემი დაბადების დღეს, პარაკლისი გადაიხადეთ. პიდეგ გმადლობთ; ყველას უთხარით, რომ მე ვარ დამნაშავე. თუ მნახეს დამღვრჩვალი, გთხოვთ ჩემი გვამი დამარხეთ ხიდთან თფილისის გზაზე.“

„მშვიდობით! მშვიდობით! ძალიან სამძიმოა ცხოვრების გამოთხოვება, განსაკუთრებით ჩემი ხნოვანების აღამიანისათვის... მაგრამ რა ვქნა!.. შველაფერში დედა ჩემია დამნაშავე! მაგრამ ღმერთმა შეუწდოს იმას...“

თქვენი ოლიმპიადა შილდოვსკისა. 15 ივნისს

****** ჩვენ გავიგონეთ ძალაქის ზოგიერთ ხელოვნებისაგან საჩივარი ხელოვნების ახალს უსტაბაშს უფ. ა. ძაპანაძეზედ, რომ უბრალო დანაშაულობისთვის ხელოსნებსა და ქარგოებს ჯარიმას ახდევინებსო, და ეს გარემოება ამ უიმისოთაც გაჭირებულს დროებაში ზოგიერთებს ძალიან შესაწუხებელად მიაჩნიათო.

„დროების“ კორესპონდენცია

ზემო-იხმარითი, 21 თბათეს. გამო-მეციებლად ურიებისაგან ბავშვის წვალე-ბის თაობაზე, რომელიც ამას წინეთ იყო გამოცხადებული „დროებაში“, უ მენკენი დანიშნეს მუთაისის ოლქის სა-სამართლოდამ. ძრიელ ერთგულად შე-უდგა ამ საქმის გამოკვლევას.

ბუშინწინ ჩამოატარეს აქ ამ საქმის თაობაზე დაჭერილი ურიები და მუთაის-ში წაიყვანეს. ხალხი ამბობს, რომ სწორეთ ეღებათ საჩხერელ ურიებს ბრა-ლიაო.

პარველი ექიმის შემოწმებას აღარ ერწმუნენ; დანიშნეს მეორე ექიმი; მა-გრამ ბავშვის სხეულს თითქმის დაშლი-ლი იყოფო და ბევრი აღარ შეუტყვიარაო.

სოფლის ხალხი სწორეთ დარწმუნე-გულია, რომ ურიებმა აწვალეს ეს ბავ-შუი და ბევრს კიდევ სცემეს სოფლებში.

მართი მრევლია საჩხერისკენ, რო-მელშიაც იმყოფებიან ორი არა-წმინდა ხასიათის პირები: ესენი ყოველ მღვდელს ემტერებიან. მართი მღვდელი გადაწვეს, მეორეს სცემეს და მესამეს აი რა უქნეს: ღამე გამოიყვანეს ამ მღვდლის ჯორი და მოსჭრეს თავი და კული; აიტანეს თა-ვი და დიდ მალალ სარზე ჩამოაცვეს და პარში კული ჩაუდეს.. მღვდელი გამოვი-და დილაზე გარეთ, გაიხედა აღმოსავლე-თისკენ, იქნება ლოცვა უნდოდა, და იმისთანა შენმა მტერმა დაინახა, როგო-რი სანახავეც იმან დაინახა! ბევრი იყვი-რა, მაგრამ რას იზამდა?!...

მოვიდა ჩვენშიაცა ბრძანება მილი-ციონერების გამოწვევისა. ძრიელ კარ-გი ამბავი გაჰოცხადა ჩვენმა უფლის უმფროსმა ამ ბრძანებასთან: თითველ მილიციონერს ექმნება ჯამაგირათ თვე-ში ორმოცი მანეთიო და ცხენოსანს

კაცს რვა თუმანიო (?); ნუ თუ ეს ამ-ბავი მართალია?

ამას წინეთ რომ მილიციონერების კენჭის-ყრა მოხდა, ძრიელ წესიერათ წა-ვიდა საქმე და საზოგადოებაც მადრიე-ლი იყო ჩვენი უფლის უმფროსისა. ღღეს უფლის უმფროსმა გამოუცხადაო, ამ-ბობენ, საზოგადოებებსა, რომ თქვენზედ იქმნება შემოწერილი დანიშნული რიც-ხვი მილიციონერებისაო და ვინც ვინ-დათ, ის მოგვეცითო (?). თუ ეს მარ-თალია, აბა ეხლა შეიქნება გლეჯა გლე-ხებისა! მართი ქრთამით დაიგლიჯებიან იგინი და მეორე—გამოვა სოფელში ორი კაცი და იტყვის, თუ ამდენს და ამდენს მომცემთ, მე წავალო, და გლეხებს მე-ტი ლონე აღარ ექმნებათ, უნდა მოუ-გროვონ და მისცენ... ამათი საგძლის ფული ხომ კიდევ სხვა იქნება.

N. N.

წერილი კადატორთან

უფალო რედაქტორო! ბუშინწინ აქ ენახე მწკრივად მომავალეული მანდეთ-კენ რამდონიმე ცარიელი ორ-უღლიანი ქართული ურმები. აღმოჩნდა, რომ ეს ურმები რაცხვით ას თ ო რ მ ე ტ ი შე-ეკრიბათ ბორის უფლის სხვა-და-სხვა სოფლებში და გამოგზავნათ აქეთკენ ცარიელები ურმებით სახელმწიფო საქ-მის სამუშაოდ. ბაეიგე, რომ ამ შემოხ-სენებულის ურმების რიცხვიდგან აქაურ უფლის ნაჩაღნიკს, თუ სხვას, როგორც მითხრეს მეურმეებმა, აურჩევია მარტო ო ც-დ-ა-ა თი და დანარჩენებისათვის უო-ქომსთ, ხარები არ გივარგათო და ისევ უკან უნდა დაბრუნდეთო.

— ბატონო როგორ შეიძლება, შენი ჭირიმე, თვალით გასინჯვა ხარებისა?

თვე და ოთხი დღე სიარულს მოუნდით სანამ დავბინადებოდით. ბატონობა გვებ-რალებოდა, ძრიელ ნელა მოდიოდა. —

— ბინაზე ბევრნი ხართ?

— სულ ცხრა ბინა ვართ, მაგრამ ჩვენოდენი ცხვარი არავის ჰყავს, 4,500 სული ცხვარი გვეყოლება და სხვებისაც რომ მივთავალოთ, სულ 10,000-მდე იქნება.

— წრეულს, ბიჭო, ძალიან ბალახო-ბაა და მეტადრე მანდეთ კარგა მოუფ-ლით ცხვარს.

— შე დალოცვილო და კარგი როა, აკი კარგ ფასსაც ვაძლევთ! ცხრა ბინამ ენკენისთვემდი რვა ოცი თუმანი გადა-ვინადეთ (1,600 მან.), ას სულ ცხვარ-ზე ექვს-ექვსი მანეთი მოდის.

— თქვენკენ რომ არეულება მოხდა, გაიგეთ?

— როგორ არ გავიგეთ, ჩვენმა ბიჭებ-მა მოგვიტანეს ამბავი.

— მერე თქვენ ბაჭებს აქ რა უნდათ, შესატყობინებლათ წამოსულთან?

— არა, შენი ჭირიმე, მაგრე კი არ იყო. ამას წინათ ჩვენ ბინაში ერთს

მითხრა ერთმა. აბა რა უშავს, შენი ჭი-რიმე, ამ ლომა ხარსა? ან ამ კულა-ხარ-სა; აბა დაედოთ ჭემს უჩემსე! სამაცი ფუთი და თუ არჩეულ ხარებზე ნაკლებ გაეწიათ, მაშინ რაღა პასუხი მქონდა!

ამ მეურმეებისთვის დაუნიშნავსთ ჯა-მაგირი თვეში ზოგისთვის ექვსი თუმანი, ზოგისთვის ხუთი და ზოგისთვის ოთხი, ერთის სიტყვით მეტ-ნაკლები, თუმცა ყველანი ერთ უფსდიდგან, ერთ საქმისა-თვის არიან გამოგზავნილნი და ყველას ჰყავს ორ-ორი უღელა ხარი.

ამათთვის მიუციათ ბორის უფსდშივე ორი თვის ჯამაგირი წინ-და-წინ იმ პი-რობით, რომ იმათ ეყიდათ, ვისაც აკლ-და, ხარები და ისე წამოსულიყვენ აქეთ (უთოოდ ამათ დამქირავლებლებს მიუ-ლიათ მაგალითი უუ. თიარ—გან და შორა—გან ახალციხის ჩარვადრების დაქერის მსგავსად!).

საწყლებს ზოგს ერთი ხარი უყიდა, ზოგს ორი და ზოგსაც სამი და, მიცე-მულ ორის თვის ფულების გარდა, იფი-ცამდნენ, ზოგს დაუყრიათ თავიანთ ჯი-ბიდგან ხარების სასყიდლოდ ორ-ორი. სამ-სამი თუმანიც სხვა. საგზაო, საკვებ ფულად გროში—კაპვიკი არ მიუციათ არც მანდდგან, არც აქედგამ.

მე ურჩიე, რომ აედოთ ქალაღი მა-თის დაბრუნების მიზეზისა იმ პირისაგან, რომელმანც აქედგან დააბრუნა. ამაზე მიპასუხეს, რომ ჩვენი ბორის „უპრავ-ლენის“ ჩინოფნიკი ბვარამაძე, რომელ-მაც წამოგვიყვანა, წავიდა ასაღებად და არ ვიცით, აიღებს თუ არა. „ნეტავი კი აიღოს, და!“ მართმა სთქვა: „მგონი, ჩვენ ქალაღში სწერია: თუ რომ უკან დაგაბრუნესო, ფულებს ნუღარ დაგვი-ბრუნებთო; ნეტავი კი ასე იყოს, და!“

რადგანაც ეს უკან დაბრუნებულნი მე-ურმეები არიან უბრალონი, და ვინ იცის,

ველტონი

ძიზიუის მაცხვარეები

მართს ახალქალაქის ტრანტირში სამი მეცხვარე გახურებულნი ჩაის შეექცევი-ან; ერთმა წამოიძახა:

— ბიჭო! ღათი! მ შაქარი ტაქანში რომ ჩავაგდო, ჩაი გააღნობს?

მაშ, ახალქალაქში ქართული ენის გავო-ნა ძვირია და ამათ მეტადრე ამ გვარმა ბაასმა ცნობის-მოყვარეობა აღმიძრა, და გამოვიკითხე მათი ვინაობა.

— ჩვენ, შენი ჭირიმე, ძიზიუელები ვართ და ცხვარი აი იქ ბორჯომის მთა-სთან გვეყენია და ეხლა აქედგან მარი-ლი მიგვაქვს.

— დიდი ხანია შინადგან წამოსულ-ხართ?

— დიდი ხანი არ-ალი, შენი ჭირიმე, მაგრამ გზაზე ძალიან ცუდი ამინდები გქპონდა; წლევანდლისთანათ არც რო-დის ეწვალეებულვართ,—სწორეთ ერთი

მარტონელ ბიჭს ესე სამასიოდე სული ცხვარი ჰყვანდა, ცხენები დაეკარგა და საძებნელად წავიდა; იმ დროს საშინე-ლი წვიმა-სეტყვა და ჭექა-ქუხილი იყო და ბიჭი მენს მოეკლა. იმ ღამეს არაფე-რი და მეორე დღეს სისხამ დილით წა-ვედით ბიჭის და ცხენების საძებნელათ. ცხენებიც ვიპოვეთ და ბიჭაც მქნისა-გან მოკლული. მკვლარი შინ გავგზავ-ნეთ, იქ დაშარხეს და იმ ხანებში ის არეულებაც მომხდარიყო; ერთი ჩვენი მეცხვარე ბიჭიც ტყუილა უბრალოთ გაებათ იმ არეულებაში და ის აღარ გამოუშვეს და დანარჩენები კი მოვიდნენ და გვიამბეს...

— ძრიელ კარგი და ეგ როგორ მო-ახერხეთ, ან ივინ მოგკათ ნება, რომ მკვლარი აქედგან ძიზიუში წაიღეთ? არა-ჩემო ძმაო, მე ეგ არა მჯერა, ჯერ ოფილისზე გავლა როგორ შეგეძლოთ მკვდრითა?

— შე დალოცვილო და პირველი ხომ არ არი,—გვაპარებთ ხოლმე. მაშ აბა რა უყოთ, ცოცხალი ცოცხლათ და-იკარგოს და მკვლარიც პატრონმა არ

თუ რომ არ გამოცხადდა ეს საქმე, იქნებაც მათ დაქირავებულებმა ფარულად გასწეწონ იგინი, ესე იგი, ან ფულისა და ან ხარების წართმევა დაუწეწონ ძალით, ამისთვის გთხოვთ, უფ. რედაქტორო, რომ ეს მეურმეების უნებურად დაბრუნება გამოუცხადოთ თქვენის გაზეთით მათს აქ გამოამგზავნელებს, რომ მოემზადონ სინიღისიან მათ საქმის მსჯელობაზე.

მ. ზ—ძე

მიხატვე 23-სა. მ. ალექსანდროპოლი.

ოქის აზვები

კონგრესი

თუმიცა ბოლგარია განთავისუფლებული იქნება ოსმალეთისაგან, მაგრამ ის ვალდებულია მუდამ წელიწადს მონგრესისაგან გადაჭრილი გადასახადი აძლიოს ოსმალეთს. ოსმალეთი თხოულობს, რომ ბოლგარიამ წელიწადში ხუთი მილიონი მანეთი შემოიტანოს ჩვენს ხაზინაში. მაგრამ, ამბობენ, მონგრესი ამის ნახევარს გადაწყვეტს.

შენის გაზეთის „პრესის“ სიტყვით, რუსეთის ჰაზრი ის არის თურმე, რომ ოსმალეთისაგან განთავისუფლებულის ჩრდილოეთ ბოლგარიის მთავრად დანიშნონ რუმინის ახლანდელი მთავარი პარლო. თ. ბისმარკი და ზოგიერთი სხვა წევრებიც ბერლინის მონგრესისა, ისმის, თანხმანი არიან ამ წინადადებაზედ.

გაზეთს „თაიმსში“ იწერებიან, ვითომც მარკიზ სალსბურის ეთქვას, რომ ნ ივლისის ის დაბრუნდება ლონდონში. აქედამ ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ ამ

დრომდინ ბერლინის მონგრესი უეჭველად მორჩება ყველა თავის საქმეებს და დაიხურება.

ძალიან გაცხარებული ლაპარაკი ჩამოვარდნილა კონგრესზე პესტრიის წინადადების შესახებ, რომ იმან თავის ჯარებით ბოსნია და ჰერცეგოვინა დაიჭიროს დროებითა. ამ წინადადებას პესტრია იმით ამართლებს, რომ უამისოთ ბოსნიადამ გაქცეული ხალხი ვერ დაბრუნდება თავის ქვეყანაში. აქველა წევრებუ ბერლინის მონგრესისა დათანხმებულან პესტრიის წინადადებაზედ გარდა ოსმალეთისა; ოსმალეთის დელეგატები კი ამტკიცებენ, რომ, რადგან ამ ომიანობის განმავლობაში ბოსნია და ჰერცეგოვინა მტრის ჯარით არ ყოფილა დაჭერილი, რადგან მონგრესმა უნდა განიხილოს მხოლოდ სან-სტეფანოს პირობის მუხლები და ამ მუხლებში ხსენებულს პროვინციებზე არა არის-რა მოხსენებულია და რადგან პესტრიის ჯარების ჩაყენებით შეიძლება იქ მკამაღიანები გაბრაზდნენ და უწესოება მოახდინონ,—ამის გამო ოსმალეთი ვერ დათანხმდება, რომ ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში პესტრიის ჯარები იყენენ ჩაყენებულნი.

„Indép. Belge“-ის კორრესპონდენტი იწერება ბერლინიდამ, თ. ბისმარკმა გამოუცხადა მონგრესის წევრებსა, რომ დაუჭირონ თავიანთი საქმის შესრულებას, თორემ მე ავთა ვარო და იძულებული შევიქნებო, რომ მონგრესის თავმჯდომარეობადამ ხელი ავიღო.

ამავე გაზეთის ბუხარესტელი კორრესპონდენტი გვაცნობებს, რომ რუმინელები კმაყოფილნი არიან ბერლინის მონგრესის გარდაწყვეტილებსა, რად-

გან ის ნაწილი ბესსარაბიისა, რომელიც ლუნის ნაპირზედ მდებარეობს, რომელიც იმათ ყველაზე ძვირფასად მიიჩნედათ, ისევე რუმინიას დაეწია.

„მოსკოვის უწყებების“ უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია ბერლინიდამ 18 ივნისს მიღებული შემდეგი დეკრეტი:

„მონგრესმა გარდაწყვიტა, რომ ბოსნია და ჰერცეგოვინა პესტრიამ უნდა დაიჭიროს დროებით თავის ჯარებითა.

„ბუშინ საბერძნეთის შესახებ საქმეებზე დაიწყეს მოლაპარაკება. შემდეგ ჩეროგოვინაზე იქნება ლაპარაკი და ბოლოს მცირე აზიანზე და სომხეთზე.“

ოქის უამებ

პეტერბურლის გაზეთებში იწერებიან, რომ, უმაღლესი მთავრობის განკარგულებით, პეტერბურლში დანიშნულია ამ ქადალ ცალკე კომისია, რომელმაც ადგილობრივ ყველა ატრიალებში უნდა გამოიკვილოს ინტენდანტის ჩინოვნიკებისა და ჯარის პოდრიადრიკების მოქმედება. ამ კომისიას უფლება აქვს, თუ სადმე რაიმე უწესოება ნახა, იმუამსვე შეადგინოს აქტი და უწესოების მომხდენი სამართალში მისცეს.

გაზეთის „ბოლოსის“ კორრესპონდენტი იწერება სან-სტეფანოდა, რომ სტამბოლისაკენ გაჩერებულს ჩვენს არმიამ ამ ქადალ 47,770 კაცი არის ავთაო.

„ჰავასის სააგენტო“ გვაცნობებს, რომ ბათუმის მახრის ხალხმა ქალაღი შეადგინაო, რომელშიაც გამოცხადებულია იმათი პოლიტიკური მოთხოვნილება და ეს ქალაღი მონგრესს გაუგზავნაო ბერლინში.

დაიტროს? არ ნახოს?

— რას ამბობ, კაცი! ამ გახშირებულ ავთამყოფობაში ვინ მოგცემს ნებას, რომ მკვდარი ადგილიდგან დასძრა! თქვენისთანა მეცხვარეები კი არა, ასეთი ღენერლები დაიხოცნენ არზრუმისკენ რომ იმათი პატრონები მათ ნახვაში თავიანთ სიცოცხლეს შესწირამდნენ, მაგრამ ალექსანდროპოლამდე ძლივს მიჰქონდათ და იქ მარხადნენ ხოლმე; ზოგნიც ამბობდნენ, მკვდარი იქვე იმარხებოდაო და აჭრელებული კუბო კი ალექსანდრაპოლშიო... და აბა თქვენ როგორ წაიდებდით იქამდე! სხვა არა იყოს-რა ამ სიცხეებში ხომ ასულდა?!

— ჰ, შენ კი დაილოცე! მკვდარს ისე ხომ არ წაიდებთ-ყე. ჰერ გამოგწლამთ, მუცელს დაუშარილებთ, წვლებს იქვე სადმე მიწაში ღრმათ დაემარხავთ-ყე და მერე ხურჯინის თვლებში ერთს თვალში თავს ჩაუდებთ, მეორეში ფეხებს, ცხენს გადავკიდებთ-ყე ისე გადაწოლილივით და მერე ზევიდგან ტილოებს გადავაფარებთ, ნაბადს თოკებით დავაკრამთ და ვახსენებთ ხოლმე ღმერთს

და, თუ მთვარიანი ღამეა, სულ დამე დავდივართ და აბა ვინ რა უნდა გაიგოს და ან რა საზარალოა? მაშ, მე დალოცვილო, აბა ერთი იფიქრე—მკვდარი როგორ უნდა დაეკარგოთ? აი შარშან ლეკებში გეყვანდა ცხვარი, დასულ ერთიან დავგულუბეს. ცხენები სულ დავგეტაცეს, რამდენიმე კაცი მოგვიკლეს და აბა მკვდარაც იმათთვის მიგვეცა?

— ე ჩვენ ცხოვრება, განაგძოქიზიყელმა, ღმერთი არ ურევია; რა ცხოვრება? ძაღლის ცხოვრებაა სწორეთ ჩვენი ცხოვრება! აჰა მთელი თვე მეტი ვიარეთ, სანამ აქ ბინებამდინ მოვიდოდით და გზაზე სამ დღეობით ცხვარი მშვიერი მოგვიდიოდა. ღმერთმა ნუ ქმნას, თუ ერთი ბეწოზე გზას ცხვარი გადასცილდა, მაშინვე ოთხ-ხუთ თუმნით ვერ მოვრჩები და აყალ-მაყალი კიდევ სხვაა. ახლა კიდევ ძალაქზე გამოტარება ცხვისა ცოტა ფასად და წვალებათ გვიჯდება-ყე! ღლისით არ გვიშვებენ და ღამე რაც უნდა მალხაზათ მოიქცე, ბინტოები მაინც სარდაფებში ჩაითრევენ ხოლმე...

— მე ყველა მართალია, მაგრამ რა უყოთ! წრეულს როგორი რამ წველა გაქეთ? ბევრ ყველს გაჰყიდით, თუ არა?

— არა, შენი ჭირიმე, ჩვენი კაცი ყველს თავის ღღეში არ გაჰყიდის.

— მაშ თულისში ამდენი ყველები საიდგან მოდის?

— მე, შენი ჭირიმე, თათრები ჰყიდინან, ან კიდევ ქალაქელ სომხებს რომ ცხვარი ჰყავთ, თათრებს ამხანაგათ აყენებენ და რამ წამს ცხვარი იგებს და სანამ შრება, ყოველ ღღეს სწველენ, ასე რომ თითო ცხვარზე ლიტრა ყველს აყენებენ ხოლმე. და ჩვენ ცხვარი გვებრალება; აი ამ თვის პირველში დავიწყეთ წველა და ეს თვე რო დაიღვეა, გავთავებთ კიდევ, ცოდონი არიან ცხვრები. და რასაც ყველს გავაკეთებთ, ის სულ შინ მიგვაქა, ჭირია, ლხინია, სიკვდილი და სიცოცხლე; და ახლა მუშა გეყავს ხოლმე ვენახში, აქეთ, იქით და ჩვენი პატივ-ცემაც ვე არის ხოლმე...

ილია ალხაზივილი



განსჯაღებანი

დაიბეჭდა და ისჯიდება ზ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და თელავსასულიერო სასწავლებელში, უფ. სანციევთან

„ბატონიშვილი ირაკლის პირველი დრო“

ანუ თავდადება ქართველთა“

ბრადედა ოთხ მოქმედებად, თხუზ. თ. ალექსანდრე ჯამბაკურიან-მრბელიანისა.

ბამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან
ფასი 30 კაპ ეიკი

(3—3)

გამოვიდა და ისჯიდება

„თავარ ბატონიშვილი“

უთ-მოქმედებიანი დრამა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკეთებული ზრ. ჩიჭულოვის რომანიდან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“

ბ. მესხისაგან.

ისჯიდება: თფილისში—ყველა წიგნი მაღაზიებში, შუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ფასი ყველაგან ექვსი რუბრი.

ვისაც ჰსურს მოიპოვოს

ახალი

ქვეყრი

შეუძლიან მიჰმართოს ნ. ავალიძის, (ტუკიაში, მლისავეტინსკის ქუჩაზე, № 108), რომელიც კისრულობს ამ კვერების გაკეთებინებას თავის ხელმძღვანელობით.

ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცნობებს ქალაქის მცხოვრებლებს, რომ ქალაქის ჩიჩვის გადაწყვეტილების თანახმად, **ბარდახდვინება** იმ 1875 წლის **მემრე ნახმვის დასაფასებელი ხარჯისა**, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ზოგიერთებისაგან შემოტანილი, **მინდობილი აქვს** ლუბერნსკი სეკრეტარს ალექსანდრე მიხეილის ძეს **ჯაბაროვს**; ამის გამო გამგეობა სთხოვს იმ სახლის პატრონებს, რომელთაც ხსენებული ხარჯი არა აქვთ ჯერ შეტანილი ქალაქის ხაზინაში, წარუდგინონ ის ფული უფ. ჯაბაროვს, რომლისგანაც ფულის შეტანაში დაბეჭდილს კვიტანციას მიიღებენ; წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. ვინც თავის დროზე ფულს არ წარუდგენს, იმათ წინააღმდეგ ფულს ჯაბაროვს შეუძლიან იხმაროს ის ძალა-დასაქმებელი ზომები, რომლის უფლებასაც აძლევს მას საქალაქო წესდების 131 მუხლი; ამას გარდა ქალაქის გამგეობამ სთხოვა უფ. თფილისის მთავარ-პოლიციმეისტერს, რომ ამ საქმეში ყოველგვარი შემწეობა აღმოუჩინოს უფ. ჯაბაროვს.

სია იმ მამულებისა (სახლებისა), რომელთაც გარდაუხდელი ხარჯი (ნედომიკა) ადევთ, აგრეთვე რაოდენობა ამ ხარჯისა და ჯარიმისა გარდაცემული აქვს უფ. ჯაბაროვს, რომელიც მიიღებს იმასთან წარდგენილ ფულს თავის კაბინეტში, ქალაქის გამგეობის სადგომში ყოველ დღე დილის 9 საათიდან ვიდრე შუადღემდინ. თუ ჯაბაროვი არ იქნება, მაშინ ფულის წარდგენა ქალაქის გამგეობის კასსაში შეიძლება.

(3—2)

ნახმვარი წლის ხელის-მოწერა გაზეთს

„მზორზე“

(1 იელისიდან 1878 წლის 31 დეკემბრამდინ) მიიღება „მზორის“ კანტორაში (ზოლოვინის პროსპექტზე, სახლის № 7); გაგზინითა და მიტანით **ფასი 8 მანეთი**. ქალაქს გარეშე მცხოვრებლებმა გაზეთი ამ აღრესით უნდა დაიბირონ: **Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „Свѣтъ“**. ვისაც ჰსურს ხელის-მოწერის კვიტანცია მიიღოს, 5 კაპეკიანი ლერბის მარკა უნდა გამოგზავნოს.

სხვა ვადებზე ხელის-მოწერის პირობა ისევე ძველი დარჩება: ერთის წლით—15 მან., სამი თვით—4 მან. და 25 კაპ. და ერთის თვით—1 მან. და 50 კაპ. მსურველს შეუძლიან მთელის წლით მოაწეროს გაზეთზე ხელი და ფული კო ყოველი სამი თვისა წინათვე წარმოადგინოს.

(3—2)

ახალი წიგნი

„სოლი თუ გინდათ, ეს არის!“

ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი

ისჯიდება: თფილისში—პართანოვის წიგნის მაღაზიაში.

მუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ქირი

ზასასყიდი, ვისაც ჰსურს, შეუძლიან იყიდოს ტუკიაში, ნიკოლაევის ქუჩაზე, საცა **პ. ლ. პოტკოვის** სპირტის სარდაფია სახლის № 44.

რძ. გზა.	ლილა.	სალამ.	II კ.	III კ.	ტელმერაში	მ. კაპ	მაგანდა	მან. კაპ	თფილისის სამკურნალო
თფილისი	9 21	5 18			მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 27 იენისს.		პრევენის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	- 68	- 38	მუთაისს, შოთს . . .	1	შქე. თფო. ბანჯისა, ფო.	1 40	აგათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.
ზორი	11 58	9 43	2 40	1 33	როსტოვს, მდებსას, მოსკოვს	2	შქვილი წითელი . . .	1 20	მ რ შ ა ბ ა თ ს: შიუჩარინა ც—ნი-რურგი, ბარალევიჩი—შინაგ. ავათყ.
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	პეტერბურგს, შარშაფას . . .	2	ბამბა შრევისა, ფუთი . . .	7 50	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: შერმიშვიე შინაგ. ავათმყოფობის, რეინი და ბახუტონი—ბებიაობის თვალის.
სურამი	1 44		4 42	2 46	მსმალეთში, შვეიცარიაში	3	— ამერიკისა, ფუთი . . .	8 50	მ თ ხ შ ა ბ ა თ ს: შერმიშვიე—შინაგანი ავათმყოფ., ბაკტი—გულის და ნერვების ავათმყოფ.
შვირილი	5 49		5 81	3 23	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	ბაპენტილი ბამბა ფუთი.	10	ს უ თ შ ა ბ ა თ ს: შერმიშვიე—შინაგანი ავათმყოფ. ბავრინსკი—თვალის და მბრეტტი—კბილის.
რიონი	6 57		6 75	3 75	ინგლისში	3 75	მატყელი თუშური ფო.	8 50	პ ა რ ა ს კ ე ვ ს: შერმიშვიე—შინაგ. ავათმყოფ. ბახუტოვი და შიუჩარინა ცი.
სამტრედია	7 51		7 73	4 29	უო. შბა		— თარაქამისა ფო. . .	5 50	შ ა ბ ა თ ს: შერმიშვიე შინაგანი ავათმყოფ. შინაგანი ავათმყოფ.
ახ.სენაკი	8 43		8 57	4 76	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.		— აბრეშუმი ნუხური სტ. შინი, ფუთი . . .	2	მ თ ხ შ ა ბ ა თ ს: შერმიშვიე—შინაგანი ავათმყოფ., ბაკტი—გულის და ნერვების ავათმყოფ.
შოთი	9 50		9 75	5 42	მ. შურ.—პარასკ. და ორშ. ქახეთს—სამშ. და შაბ. ბ) მუთაისიდან: თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. მ. შურგეთს—ორშ. და პარასკ.		შინი, ფუთი . . .	6	ს უ თ შ ა ბ ა თ ს: შერმიშვიე—შინაგანი ავათმყოფ. ბავრინსკი—თვალის და მბრეტტი—კბილის.
შოთი	9 83				წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ;		შინი, ფუთი . . .	8	პ ა რ ა ს კ ე ვ ს: შერმიშვიე—შინაგ. ავათმყოფ. ბახუტოვი და შიუჩარინა ცი.
ახ.სენაკი	10 14		1 18	- 66	ლია წიგნის	4	შინი, ფუთი . . .	6 40	შ ა ბ ა თ ს: შერმიშვიე შინაგანი ავათმყოფ. ბახუტოვი და შიუჩარინა ცი.
სამტრედია	11 5		2 6	1 14	დაბეჭდილის (სამი მისხალი) . . .	8	შინი, ფუთი . . .	13	მ ა მ ბ ა ქ ო , საშუალო ფუთი
რიონი	12 13		3 4	1 69			შინი, ფუთი . . .	8 50	
შვირილი	1 18	ლაზე	3 98	2 21			შინი, ფუთი . . .		
სურამი	5 12	1 10	5 33	2 96			შინი, ფუთი . . .		
ხაშური	5 39	1 37	5 84	3 24			შინი, ფუთი . . .		
ზორი	7 5	4 8	7 36	4 9			შინი, ფუთი . . .		
მცხეთა	8 50	6 59	9 85	4			შინი, ფუთი . . .		
თფილისი	9 31	7 56	9 75	5 42			შინი, ფუთი . . .		